



## სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების მაგისტრი - MSc in Social Sciences

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამის მოცულობა კრედიტებში

120 ECTS

### სამაგისტრო პროგრამის კონცეფცია/აღწერა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა სწავლების მეორე საფეხურია. სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა სწავლებასა და კვლევაზე ორიენტირებული პროგრამაა, რაც ეხმიანება ევროპა 2020 სტრატეგიას უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის კუთხით. პროგრამის კურიკულუმი ისეთნაირად არის შედგენილი რომ მაგისტრანტისთვის მაქსიმალურად შესაძლებელი იყოს საკუთარი ინტერესების მიხედვით წარმართოს სასწავლო პროცესი. სამაგისტრო პროგრამის დიდი ნაწილი ეთმობა ინდივიდუალურ მუშაობას, რომელსაც სტუდენტი აწარმოებს სამეცნიერო ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი უზრუნველყოფს მაგისტრანტის კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სათანადო მეთოდოლოგიური მომზადებითა და დარგობრივი ინსტრუმენტებით. ამავდროულად, სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტებში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ სამეცნიერო მუშაობის დოქტორანტურაში გაგრძელებისთვის და მეორე მხრივ, თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის.

### სამაგისტრო პროგრამის მიზანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სოციალურ მეცნიერებებში ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა;
- სოციალურ მეცნიერებებში, სამაგისტრო დონეზე, ხარისხიანი კვლევების ინიცირება, რომელთა უფრო მაღალ დონეზე ან ფართო მასშტაბით გავრცობა პოტენციურად შესაძლებელი იქნება;
- სოციალურ მეცნიერებებში მაღალი დონის მაგისტრანტების მომზადება რომლებიც შეძლებენ წამყვან სადოქტორო პროგრამებზე კვლევის გაგრძელებას და/ან სამუშაო ბაზარზე წარმატებულად დასაქმებას.

დასახული მიზნების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს:

- ეხმარება ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში;
- სთავაზობს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ და თეორიულ ცოდნას;
- უქმნის სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისათვის (სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, საერთაშორისო კავშირები).

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია სწავლების ყველა საფეხურზე, მათ შორის, მაგისტრატურის დონეზე შექმნას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და მისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის.

### სამაგისტრო პროგრამაზე მიღება

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის კვალიფიკაცია. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია მაგისტრანტობის კანდიდატმა წარმატებით ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა გამოცდები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა დასაშვებია კანონმდებლობითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, დადგენილ ვადებში.

მაგისტრანტობის კანდიდატს ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვება B2 დონეზე. თუ მაგისტრანტობის კანდიდატს არ აქვს B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისთვის გამოცდის ჩატარებას.

### **სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, კერძოდ, ექნება:

- სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური წყობის ცოდნა;
- დასავლური პოლიტიკური კულტურის და ისტორიის ცოდნა;
- შედარებითი პოლიტიკის მიმართულებით სწავლების მეთოდების ცოდნა;
- კონსტიტუციონალიზმის იდეის და საფუძვლების ფუნდამენტური ცოდნა;
- თანამედროვე პოლიტიკური თეორიების ცოდნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ცოდნა.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კერძოდ, ექნება:

- შედარებით პოლიტიკაში თეორიული/თვისობრივი კვლევის ჩატარების უნარი, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- შედარებითი პოლიტიკის სფეროს თეორიისა და პრაქტიკის ანალიზის, კვლევის და თეორიის პრაქტიკაში დანერგვის, გამოყენების შესახებ კონსულტირების გაწევის უნარი;
- სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების კვლევის უნარი;
- შედარებით პოლიტიკაში პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი.

#### **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს.

#### **კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების გადაცემის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე და ექნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების უნარი.

#### **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს ინფორმაციის მოძიებას/დამუშავებას/გამოყენებას, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და ექნება სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.

#### **ღირებულებები**

კურსდამთავრებულს ექნება პროფესიული პასუხისმგებლობის და პროფესიული ეთიკური ქცევის პრინციპების ცოდნა, შეაფასებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებებს, და წვლილს შეიტანს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

## დასაქმების სფეროები

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს მკვლევარად კერძო და სახელმწიფო პროექტებში; არასამთავრობო ორგანიზაციებში; კონსულტანტად, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებში.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი; დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; სავლე სამუშაო; პრეზენტაცია; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; წერითი მუშაობის მეთოდი. სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ, რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები.

## სასწავლო გეგმა

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ოთხ კომპონენტს:

- საერთო სავალდებულო საგნების მოდული - 20 ECTS
- სპეციალური სავალდებულო მოდულები - (3 მოდული, თითო 15 ECTS) 45 ECTS
- კვლევის მოდული - 35 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS

საერთო სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ სფეროში დახელოვნებას. საერთო სავალდებულო კომპონენტი მოიცავს:

- აკადემიური წერა - 5 ECTS
- კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში - 5 ECTS
- სამაგისტრო სემინარი: სოციალური და პოლიტიკური თეორია - 5 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მეთოდოლოგია - 5 ECTS

სპეციალური სავალდებულო მოდული მოიცავს:

მოდული 1: ტუტორიალი + არჩევითი საგანი 15 ECTS

მოდული 2: ტუტორიალი + არჩევითი საგანი 15 ECTS

მოდული 3: ტუტორიალი + არჩევითი საგანი 15 ECTS

კვლევის მოდული მოიცავს სამაგისტრო სემინარს და კვლევის მომზადებას - 35 ECTS.

სამაგისტრო ნაშრომი (20 ECTS) წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგად შესრულებულ აკადემიურ ნაშრომს და სრულდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე.

სასწავლო გეგმა და სემესტრული გეგმა პროგრამაში მოცემულია დანართის სახით, ხოლო კომპონენტების აღწერა - თანდართულ სილაბუსებში.

### **ადამინაური და მატერიალური რესურსი**

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხილეთ დანართი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.